

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №412

ქ. ბათუმი, 29 მაისი 2020 წ

მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“
სარგებლობით დაინტერესებული პირების განაცხადების
მიღების განახლების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 თებერვლის №165 ბრძანებით დაწყებული მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ სარგებლობით დაინტერესებული პირების განაცხადების მიღება გაგრძელდეს 2020 წლის 1 ივნისიდან და დასრულდეს 2020 წლის 31 აგვისტოს.

2. წინამდებარე ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი